# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# გ ა მ გ ე ო ბ ა

№399 „12" 10 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის საშუალებით , ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ #160 კონკურსში „თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვ.ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის" მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე, გამარჯვებულად გამოვლენილია შპს „არქიტრავი-XXI"

გთხოვთ, მიანიჭოთ კონკურსს სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია" (გიდგენთ ხელშეკრულებას და საათანადო დოკუმენტაციას).

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგებელი: კობა მაისურაძე

0900 ქ. ახმეტა,
15-16
ჩოლოყაშვილის ქ. № 49
+995 249 2-16-09
+995 249 2-15-42
ფაქსი: +995 249 2
ელ-ფოსტა: Akhmeta region@yahoo.com

# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# გ ა მ გ ე ო ბ ა

№ 390 "5" 10 2011წ

შპს„არქიტრავი-XXI"-ის
დირექტორს ქ-ნ ნ.პაპუნაშვილს

გაცნობებთ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ #160კონკურსში „თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი ქვ.ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე საკონკურსო კომისიამ მოიწონა თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და გცნოთ გამარჯვებულად.

გთხოვთ, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგებლი კ.მაისურაძე

0900 ქ. ახმეტა, ☎ +995 249 2-16-09 ფაქსი: +995 249 2-15-16
ჩოლოყაშვილის ქ. № 49 +995 249 2-15-42
ელ-ფოსტა: Akhmeta_region@yahoo.com

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 372050 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B11143278 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 04/10/2011 11:51:18 |

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს არქიტრავი XXI |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, გურჯაანი, ნონეშვილის ქ., №11 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 227716530 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 20/06/2000 |
| სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | 27/4-182 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | გურჯაანის რაიონის სასამართლო |
| საგადასახადო ინსპექცია: | გურჯაანის მუნიციპალიტეტი |

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 13001015841, ნანული პაპუნაშვილი,
  დირექტორი, ,

## პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 13001001759, ნუკრი ლიპარტაშვილი, | 100.00000000% | 227716530-SH-00001 |

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი ქვ.ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #2

ქ.ახმეტა 4 ოქტომბერი 2011წ.

კომისიის თავმჯდომარე კობა მაისურაძე

**სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:** ვ.ნასყიდაშვილი , ლ.შეთეკაური, კ.ნამორაძე ,ი.წითელაური.

**დღის წესრიგი:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ #160 კონკურსში თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი ქვ.ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის" მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა ვ.ნასყიდაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ერთმა პრეტენდენტმა შპს ,,არქიტრავიXXI" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება: საკონკურსო განცხადებით მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 450 (ოთხას ორმოცდაათ )ლარს . მონაწილე პრეტენდენტმა შპს ,,არქიტრავიXXI" დააფიქსირა იგივე ფასი.

**განიხილეს:**

1. შპს ,,არქიტრავიXXI" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. აღნიშნულ კონკურსს მიენიჭოს სტატუსი გამარჯვებული გამოვლენილია.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

დაადგინეს:

1. შპს ,,არქიტრავიXXI" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს ,,არქიტრავიXXI".
3. გამარჯვებულ კონკურსანტს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაუფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

კომისიის თავმჯდომარე /კ.მაისურაძე/

კომისიის წევრები: / ვ.ნასყიდაშვილი/

/ლ.შეთეკაური/

/კ.ნამორაძე/

/ი.წითელაური/

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

# არარსებობის შესახებ

ქ.ახმეტა 4 ოქტომბერი 2011წ.

,, სახელმწიფო შესყიდვების სესახებ " საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე კონკურსის მეშვეობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობისა და და წესის მე-3 მუხლის შესაბამისად, ჩამოთვლილი თითოეული საკონკურსო კომისიის წევრი ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ #160 კონკურსში ,,თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვ.ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე" მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მონაწილე კონკურსანტის შპს,,არქიტრავი-XXI" მიმართ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /კ. მაისურაძე/

საკონკურსო კომისიის წევრები: /ვ.ნასყიდაშვილი/

/ლ.შეთეკაური/

/კ.ნამორაძე/

/ი.წითელაური/

# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

# ხელშეკრულება №269

ქ. ახმეტა "11" ოქტომბერი 2011 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, წარმოდგენილი გამგებლის **კობა მაისურაძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს„არქიტრავი-XXI"** წარმოდგენილი ხელმძღვანლის **ნანული პაპუნაშვილის** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის №160) „თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (კოდი 713) რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა შპს„არქიტრავი-XXI"-ის საკონკურსო წინადადება, ზემოაღნიშნულის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს მომსახურერება **450**(ოთხასორმოცდაათი) ლარად.

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია"არის შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.5 "დღე", "კვირა, "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს: გამგეობის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას;

## 3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია ქალაქ„თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

## 4.სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

## 5. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 7-დღის ვადაში , არაუგვიანეს 2011 წლის 17-ოქტომბრისა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია მოემსახუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში საქართველოს მოქმედი ყველა საჭირო ნორმებს, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნის დაცვით.

5.3 მხარეები განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პიროებებით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ათვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულებზე ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 7. ანგარიშსწორება.

7.1 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო.

7.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაობების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

7.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა (ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 30- სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

## 8. ხელშეკრულების ცვლილებების შეტანა.

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პიროებებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობით , ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება , რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. უფლებების გადაცემა.

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს , მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

## 11. ფორს-მაჟორი.

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეების გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს , რომელბიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით , ეპიდემიით კარანტინით და სასაქონლო მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მ აჟორული გარემოებების დადგენის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება , დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნეტიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს მაჟორული ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს , რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს , თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 13. გამოყენებული სამართალი.

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ენა.

14.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მ,ოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის , უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 15. გადასახადები და დაბეგვრა.

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ

15.2. ადგილბრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების , მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან **2011 წლის 1-ნოემბრამდე**

## 17. სხვა პირობები.

17.1. არცერთ მხარეს არ არქვს უფლება გადსცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით,ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად , რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ( ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილბითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 18.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

| | |
|---|---|
| ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა | შპს,,არქიტრავი-XXI" |
| ჩოლოყაშვილის ქ. №49 | ქ.გურჯაანი ნონეშვილისქ№11 |
| ს/ს "ლიბერთი ბანკის" ახმეტის ფილიალი | საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი |
| ბ/კ-LBRTG22 | ბ/კ-BAGAGE22 |
| ს/კ-224631165 | ს/კ-227716530 |
| ა/ა-GE67LB0120113462310000 | ა/ა-195525600 |
| ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი- /ბობა მაისურაძე/ | შპს,,არქიტრავი-XXI"-ის ხელმძღვანელი /ნანული პაპუნაშვილი/ |
| | |